დამტკიცებულია
ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიის
რექტორის 2026 წლის 8 ივნისის #03/28 ბრძანებით

ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

2026

მუხლი 1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 ა(ა)იპ ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია (შემდგომში „სკოლა-გიმნაზია“) დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ადაპტაციას სკოლა-გიმნაზიაში და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშნული წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა.

1.2 ეს წესი შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსწავლეს, ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, გააჩნია სასკოლო პროცესთან შეგუების პრობლემები.

1.3 წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, განსაზღვროს სკოლა-გიმნაზიის მიერ მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები.

1.4 აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

2.1 წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები განიმარტება სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

2.2 ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადაპტაცია - მოსწავლის უნარი, შეეგუოს სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. დაამყაროს წარმატებული ურთიერთობა სასკოლო საზოგადოებასთან და ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

ბ) დეზადაპტაცია - მდგომაროება, როდესაც მოსწავლე ვერ ეგუება სასწავლო პროცესსა და სასკოლო ცხოვრებას. ვერ ამყარებს წარმატებულ ურთიერთობას სასკოლო საზოგადოებასთან და არ აქვს შესაძლებლობა, ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში;

მუხლი 3. მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები

მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

ა) მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი;

ბ) უფროსი და-ძმის გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე - ხშირია შემთხვევა, როდესაც მოსწავლე ვერ ახერხებს სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევას, განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე. აღნიშნულმა არ უნდა დააზიანოს მოსწავლის თვითშეფასება და არ უნდა უბიძგოს მას ისეთი ქმედებებისკენ, რომელიც ხელს შეუშლის მისი აკადემიური ჩვევების ჩამოყალიბებას;

დ) იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც აქვთ ენობრივი ბარიერი ან კულტურული განსხვავებულობა, აუცილებელია, მასწავლებელმა მიმართოს განსაკუთრებულ ღონისძიებებს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად. ამ დროს, განსაკუთრებით დიდია კლასის ხელმძღვანელის როლი. მან უნდა სცადოს, თუნდაც, თარგმნის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, გააცნოს მოსწავლეებს კონკრეტული კულტურის ზოგადი მახასიათებლები მათთვის საინტერესო კუთხით, გამოხატოს პატივისცემა იმ

კონკრეტული კულტურის მიმართ, დაამყაროს მარტივი კომუნიკაცია მოსწავლესთან და წაახალისოს სხვა თანაკლასელებიც, ჩართონ იგი საერთო აქტივობებში, როგორიცაა ჯგუფური დავალებები, სხვადასხვა სახის თამაშები და ა.შ..

ე) კლასის ხელმძღვანელის როლი - იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას, სწორედ კლასის ხელმძღვანელმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ ურთიერთობა კლასის ახალ წევრთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია.

ვ) მშობლის ფაქტორი - მოსწავლის სკოლა-გიმნაზიაში ადაპტაციისათვის უმნიშვნელოვანესია მშობლის ჩართულობა. უმეტესად, მოსწავლის დეზადაპტაციის ნიშნები სახლში უფრო შესამჩნევია, ვიდრე სკოლა-გიმნაზიაში. ამდენად, მოსწავლის მშობელი მყისიერად უნდა იქნას ინფორმირებული მოსწავლის ადაპტაციისა თუ დეზადაპტაციის ტემპების შესახებ, რათა დროულად იქნას გამოვლენილი დეზადაპტაციის ნიშნები და მოსწავლეს გაეწიოს შესაბამისი დახმარება;

ზ) ფსიქოლოგის როლი - იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გამოუვლინდება დეზადაპტაციის ნიშნები, სასურველია მოსწავლის ფსიქოლოგთან გასაუბრება.

თ) საორიენტაციო ვიზიტი - სასწავლო პროცესის დაწყებამდე ან პირველივე დღეს უნდა მოხდეს სასკოლო გარემოს დათვალიერება, გაცნობა, მოსწავლისათვის საჭირო საორგანიზაციო საკითხების მიწოდება.

მუხლი 4. მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები

4.1 მოსწავლის სასკოლო პროცესში ადაპტაციისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტორები:

ა) მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი ხასიათი და ტემპერამენტი;

ბ) უფროსი და-ძმის გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

გ) სასკოლო მზაობა - მოსწავლეს მინიმალურად მაინც უნდა ჰქონდეს გამომუშავებული დისციპლინის დაცვის უნარი. უნდა შეეძლოს გარკვეული დროის განმავლობაში კონკრეტული აქტივობების შესრულება, როგორიცაა ხატვა, ძერწვა, გაფერადება და. ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია წესების დამორჩილება და სოციალური ადაპტაცია. შესაძლოა, მოსწავლე გონებრივად კარგად განვითარებულია, მაგრამ ემოციურად და ფსიქიკურად მზად არაა სკოლისთვის. ამასთან, სხვა და სხვა მიზეზის გამო პირველკლასელები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან სკოლისათვის მზაობის დონით. არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ფიზიკური, პიროვნული და სოციალური მზაობის დონითაც. მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებლის პოზიტიური დამოკიდებულება და პროფესიული უნარები (ეს შესაძლებელია განხორციელდეს თამაშით, მოსწავლისათვის საინტერესო განმავითარებელი აქტივობების გამოყენებით) წახალისებით, დაამყარონ კომუნიკაცია თანაკლასელებთან, იმუშაონ ჯგუფურად და ა.შ..

დ) სკოლა-გიმნაზიამდელი აღზრდის დაწესებულების გამოცდილება, ასეთის არსებობის შემთხვევაში: მნიშვნელოვანია, დადიოდა თუ არა მოსწავლე სკოლა-გიმნაზიამდელი აღზრდის დაწესებულებაში. თუ არ დადიოდა, შეიძლება შედარებით გაუჭირდეს შეგუება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე ცნობისმოყვარეა და ბუნებრივად აინტერესებს სიახლის გაცნობა, მნიშვნელოვანია, როგორ მიაწოდებს მოსწავლეს ამ სიახლეს მშობელი და მასწავლებელი;

ე) თვითმომსახურების უნარ-ჩვევების განვითარება: ხშირად მასწავლებლისათვის სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცევა არა მხოლოდ ის, რომ მოსწავლეებს ასაკის შესაბამისად არ აქვთ განვითარებული ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და სხვა ფსიქიკური პროცესები, არამედ ისიც, რომ მათ უმრავლესობას არ გააჩნია თვითმომსახურების ჩვევები – არ შეუძლია დამოუკიდებლად სასწავლო ნივთების ამოლაგება, ჩალაგება, დამოუკიდებლად ტანსაცმლის ჩაცმა, კვება და ა.შ. პირველკლასელი მოსწავლეების საკმაოდ დიდ ნაწილს ასევე უჭირს ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედება, რაც საგაკვეთილო პროცესის

წარმატებით განხორციელების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს. მაგალითად, მასწავლებლის მარტივი ინსტრუქცია: ამოიღეთ ჩანთიდან რვეული, წიგნი და ა.შ. – მოსწავლემ შესაძლოა ვერ შეასრულოს;

ვ) სასწავლო დატვირთვის ინტენსივობა და თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამების სირთულე - ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსწავლე ვერ ახერხებს სასწავლო პროგრამის წარმატებით დაძლევას. განსაკუთრებით კი სწავლების საწყის ეტაპზე. აღნიშნულმა არ უნდა დააზიანოს მოსწავლის თვითშეფასება და არ უნდა უბიძგოს მას ისეთი ქმედებებისკენ, რომელიც ხელს შეუშლის მისი აკადემიური ჩვევების ჩამოყალიბებას;

ზ) იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც გააჩნიათ ენობრივი ბარიერი, აუცილებელია, მასწავლებელმა მიმართოს განსაკუთრებულ ღონისძიებებს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩასართავად. ამ დროს, განსაკუთრებით დიდია კლასის დამრიგებლის როლი. დამრიგებელმა უნდა სცადოს, რომ თუნდაც თანამედროვე თარგმნის საშუალებების გამოყენებით, დაამყაროს მარტივი კომუნიკაცია მოსწავლესთან და წაახალისოს სხვა თანაკლასელებიც, ჩართონ იგი საერთო აქტივობებში, როგორიცაა ჯგუფური დავალებები, სხვადასხვა სახის თამაშობები და ა.შ..

თ) სკოლა-გიმნაზიაში მობილობის წესით ახალი მოსწავლის გადმოსვლისას, ასევე, უმნიშვნელოვანესია კლასის დამრიგებლის როლი. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ ახერხებს წარმატებით ადაპტაციას, სწორედ კლასის დამრიგებელმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა და წაახალისოს მოსწავლეები, დაამყარონ კომუნიკაცია კლასის ახალ წევრთან. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯგუფურ დავალებებს, თამაშებს და სხვა ისეთ აქტივობებს, სადაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია კოორდინირებული ქმედებები და ჯგუფის წევრებს შორის კომუნიკაცია.

ი) მშობლის ფაქტორი - მოსწავლის სკოლა-გიმნაზიაში ადაპტაციისათვის უმნიშვნელოვანესია მშობლის ჩართულობა. უმეტესად, მოსწავლის დეზადაპტაციის ნიშნები სახლში უფრო შესამჩნევია, ვიდრე სკოლა-გიმნაზიაში. ამდენად, მოსწავლის მშობელი მყისიერად უნდა იქნას ინფორმირებული მოსწავლის ადაპტაციისა თუ დეზადაპტაციის ტემპების შესახებ, რათა დროულად იქნას დეზადაპტაციის ნიშნები გამოვლენილი და მოსწავლეს გაეწიოს შესაბამისი დახმარება;

კ) ფსიქოლოგის როლი - იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს გამოუვლინდება დეზადაპტაციის ნიშნები, სასურველია მოსწავლის ფსიქოლოგთან გასაუბრება.

მუხლი 5. სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია

5.1. სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციისთვის საჭიროა ინფორმაცია ბავშვის ფუნქციური, სოციალურ-ემოციური, წინა აკადემიური უნარების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ბავშვის ინტერესების, ქცევის თავისებურებების და პიროვნული მახასიათებლების ცოდნა. სკოლა-გიმნაზიამ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიპოვოს ბავშვის ოჯახთან თანმიმდევრული კომუნიკაციით. ობიექტურ წყაროს წარმოადგენს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრს (სამმართველო) დასკვნა, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ბავშვის საჭიროებები და მოცემულია სასწავლო პროცესისა და გარემოს მორგების რეკომენდაციები.

5.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების რეგისტაციის შემთხვევაში, სკოლა-გიმნაზიამ უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის საჭიროებები (მაგალითად ფიზიკური გარემოს ადაპტირებასთან დაკავშირებული საჭიროებები), რათა მომავალმა მოსწავლემ შეძლოს გარემოში თავისუფლად გადაადგილება.

5.3. რიგ შემთხვევებში, შეიძლება გამოიკვეთოს ინკლუზიური განათლების დამხმარე სპეციალისტების მობილიზების საჭიროებაც (სპეციალური მასწავლებელი, ბავშვის ინდივიდუალური ასისტენტი და სხვა). აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში, დროულად უნდა მოხდეს სათანადო სპეციალისტების შერჩევა.

5.4. მნიშვნელოვანია, სკოლა-გიმნაზიის მხრიდან მშობლებმა მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია, თუ რა დამხმარე სერვისებია სკოლა-გიმნაზიაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. ასევე, თუ რა კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები მუშაობენ სკოლა-გიმნაზიაში, როგორ წარიმართება სასწავლო პროცესი, როგორ მოხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლება და სხვა.

მუხლი 6. მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია

6.1. კლასის ხელმძღვანელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს;
6.2. კლასის ხელმძღვანელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლა-გიმნაზიაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს;
6.3. ახალი მოსწავლეს პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) კლასის ხელმძღვანელი აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;
6.4. დირექცია ხელს უწყობს, მოსწავლეებმა უზრუნველყონ ახლად ჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერება (სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, ეზო და სხვა სივრცეები);
6.5. კლასის ხელმძღვანელი წინასწარ აცნობს კლასის მოსწავლეთა მშობლებს ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ (შესაძლებლობის შემთხვევაში მოსწავლეებსაც ესაუბრება);
6.6. კლასის ხელმძღვანელი პირველივე კლასის საათს უთმობს მოსწავლეების გაცნობას;
6.7. კლასის ხელმძღვანელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.
6.8. სასურველია სასწავლო წლის დასაწყისში მოეწყოს სასწავლო შემეცნებითი ექსკურსია, სადაც არაფორმალურ გარემოში, თამაშითა და სხვა აქტივობებით ხდება მოსწავლეთა უკეთ გაცნობა და ადაპტაცია.

მუხლი 7. მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე

1. სასწავლო წლის დაწყებისას, პირველ დღეს, ტარდება განსხვავებული ფორმატით. ეწყობა სკოლა-გიმნაზიის მოსწავლეთა საზეიმო დახვედრა, სახელმწიფო დროშის აწევა, მოსწავლეთა დალოცვა. აღნიშნული ღონისძიების მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება.
2. ცალკე ეწყობა დაწყებითი კლასების მოსწავლეების, მათ შორის პირველკლასელთა საზეიმო მიღება. აღნიშნულ დღეს კლასის ხელმძღვანელები მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი აქტივობებით ხვდებიან მოსწავლეებს.

მუხლი 8. წარმატებული ადაპტაციის ნიშნები

სასკოლო პროცესთან წარმატებული ადაპტაციის ნიშნებია, თუ მოსწავლე:
ა) მხიარული, მშვიდი და ხალისიანია;
ბ) სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის;
გ) სიამოვნებს მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე საუბარი;
დ) დაუძაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე;
ე) სიამოვნებს სკოლა-გიმნაზიაში წასვლა და სკოლა-გიმნაზიისათვის მზადების პროცესი;
ვ) მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი;
ზ) არ აქვს სკოლა-გიმნაზიასთან, მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები.

მუხლი 9. რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას

9.1 იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ადაპტაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, ამის შესახებ უნდა ეცნობოს მშობელს და განემარტოს, რომ მოსწავლეს არ გააჩნია დეზადაპტაციის ნიშნები.

9.2 მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას არ არის საჭირო დამატებითი სპეციალური ღონისძიებების გატარება. თუმცა, აუცილებელია, მოსწავლე წახალისდეს პოზიტიური კომენტარებითა და შექებით.

მუხლი 10. დეზადაპტაციის ნიშნები

დეზადაპტაციის ნიშნებია:

ა) მოსწავლის სწრაფად და ხშირად გადაღლა;

ბ) მოსწავლის აშკარად გამოხატული სურვილი, არ წავიდეს სკოლა-გიმნაზიაში;

გ) მოსწავლე, შესაძლოა, ხშირად უჩიოდეს თავის ტკივილსა და უმადობას;

დ) მოსწავლეს უჭირს საღამოს ჩაძინება და დილით გაღვიძება;

ე) მოსწავლეს არ ჰყავს მეგობრები სკოლა-გიმნაზიაში;

ვ) მოსწავლე ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას მასწავლებლების მოთხოვნების მიმართ;

ზ) მოსწავლე თავს არიდებს თანაკლასელებთან კონტაქტს;

თ) მოსწავლეს უჭირს სასკოლო მოთხოვნების შესრულება, ვერ/არ იცავს სასკოლო წესებს;

ი) მოსწავლის მხრიდან საგაკვეთილო პროცესზე სრულყოფილად დასწრების თავის არიდება/საგაკვეთილო პროცესიდან გათავისუფლების ხშირი მცდელობა.

მუხლი 11. დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები

11.1 დეზადაპტაციის პროცესისას მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნას მოსწავლის სასკოლო პროცესში ჩართულობის პროცესი, რასაც უნდა მოყვეს მშობლის დაუყოვნებლივი შეტყობინება და პროცესში ჩართვა.

11.2 ადაპტაციის პროცესში შესაძლებელია ჩართულ იქნას სკოლა-გიმნაზიის ფსიქოლოგი. ფსიქოლოგმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გამართოს გასაუბრება როგორც ინდივიდუალურად მოსწავლესთან, ისე კლასის ხელმძღვანელის თანდასწრებით მშობელთან. ასევე, ფსიქოლოგმა, კლასთან გარკვეული აქტივობის ჩატარების გზით, უნდა სცადოს მოსწავლეების დაახლოება.

11.3 აუცილებელია, სკოლა-გიმნაზიაში ყოფნის პირველივე დღეებში ხელი შევუწყოთ მოსწავლეს, ირწმუნოს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების.

11.4 კლასის ხელმძღვანელის მხრიდან მშობელს უნდა განემარტოს, რომ მოსწავლის წარუმატებლობამ არ უნდა გააღიზიანოს იგი. ამ დროს მოსწავლეს სჭირდება პოზიტიური განწყობები და რაც შეიძლება ნაკლები სტრესი. ხშირ შემთხვევაში, მიუხედავად რეალური შედეგისა, შესაძლებელია მოსწავლე იქნას წახალისებული დადებითი კომენტარებით და შექებით.

11.5 სკოლა-გიმნაზიასთან ადაპტაციის პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღის რეჟიმის სწორად შედგენა. მოსწავლის დატვირთვის შესამცირებლად და გადაღლის თავიდან ასაცილებლად მშობელს უნდა მიეცეს რეკომენდაცია, რომ უზრუნველყოს მოსწავლის დღის რეჟიმის ორგანიზება. საშინაო დავალებები უნდა შესრულდეს არა გვიან საღამოს, ძილის წინ, არამედ ნაშუადღევს. გარდა ამისა, მოსწავლეს უნდა რჩებოდეს დრო თამაშისთვის, გართობისათვის, მისთვის საინტერესო მხატვრული თუ ანიმაციური ფილმების სანახავად, სასეირნოდ, სხვადასხვა სპორტული აქტივობებისთვის და ა.შ..

11.6 მშობელს უნდა მიეცეს რეკომენდაცია, რომ მოსწავლე კვირის რამდენიმე დღის განმავლობაში დააკავოს ფიზიკური აქტივობით. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლის სტრესის დონის კლებასა და სიჯანსაღეს.

11.7 მშობელს უნდა მიეცეს რეკომენდაცია, რომ არავის შეადაროს საკუთარი შვილი. ასეთი შედარებებით შეიძლება მოსწავლეს დავაკარგვინოთ საკუთარი თავის რწმენა და თვითშეფასებაც დავუქვეითოთ. შეიძლება მხოლოდ მოსწავლის დღევანდელი მდგომარეობის შედარება მის წარსულ მიღწევებთან და სასურველია, თუ ეს მოხდება მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში.

მუხლი 12. წინამდებარე დოკუმენტის გაცნობა

12.1 სკოლა-გიმნაზია უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციის წესის გაცნობას სკოლა-გიმნაზიაში დასაქმებული პირებისათვის.

12.2 სკოლა-გიმნაზია, საჭიროების შემთხვევაში, ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს მოსწავლეთა ადაპტაციის პრინციპებს.

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

13.1 წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით.

13.2 დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.